ბრძანება № 360

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ

ქ. თბილისი

8 დეკემბერი, 2015 წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 61 მუხლის ,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების " მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ" და „შ" ქვეპუნქტების საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავისა და "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით:

   ა) სსიპ „კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში" (შემდგომში-ცენტრი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე (მატერიალური და ელექტრონული ფორმით (m.khutunishvili@manuscript.ac.ge) პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი - **მარიამ ხუტუნიშვილი.** (მისი არ ყოფნის (მივლინება , შვებულება) შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანებით მის შემცვლელად განსაზღვრული პირი).

   ბ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - **მარიამ კიკალიშვილი** .(მისი არ ყოფნის (მივლინება, შვებულება) შემთხვევაში, შესაბამისი ბრძანებით მის შემცვლელად განსაზღვრული პირი).

2. ცენტრის სტრუქტურულმა ქვედანაყოფებმა მოკლე ვადაში უზრუნველყონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროაქტიულად გამოქვეყნების ინფორმაციის წარდგენა" "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილების დანართში მითითებული ნუსხის შესაბამისად;
3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა (მ. კიკალიშვილმა) უზრუნველყოს ამ ბრძანების მეორე მუხლის თანახმად წარმოდგენილი ინფორმაციის ცენტრის ელექტრონულ რესურსზე გამოქვეყნება არაუგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა;

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცენტრის დირექტორის 2012 7 ნოემბრის N253 და 2013 წლის 9 დეკემბრის N283 ბრძანებები.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციის უფროსს.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი ზაალ აბაშიძე